

მიწოდების უსაფრთხოება - ნავთობის სექტორი

სარჩევი

მიწოდების უსაფრთხოება - ნავთობის სექტორი.....	1
1. ძირითადი მოთამაშეები.....	1
2. იურიდიული და მარეგულირებელი ჩარჩოები.....	2
3. შიდა წარმოება.....	3
4. იმპორტი და ექსპორტი.....	4
5. ტრანზიტი.....	5
6. სექტორის განვითარება მიწოდების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად	6
ახალი საბადოების საძიებო სამუშაოების გაფართოება	6
პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავება.....	7
კანონმდებლობის დახვეწა.....	7
ნავთობის გადამუშავების ახალი შესაძლებლობების განვითარება	8
საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლება	8
სავალდებულო მარაგები.....	8

1. ძირითადი მოთამაშეები

საქართველოში ნავთობის ოპერაციების სფეროში პოლიტიკის გამტარებელი არის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (სამინისტრო). სამინისტრო ადგენს სექტორის პოლიტიკასა და სტრატეგიას, ასევე, ამტკიცებს გრძელვადიან გეგმებს.

სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო (სააგენტო) - წარმოადგენს სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც პასუხისმგებელია ნავთობისა და გაზის ოპერაციებზე. სააგენტო უზრუნველყოფს ნავთობისა და გაზის ოპერაციების სათანადო, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, ტენდერებისა და აუქციონის ორგანიზებას, სახელმწიფოს სახელით ლიცენზიის გაცემას, ინვესტორებთან კონტრაქტების გაფორმებას, ლიცენზიებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (კორპორაცია) - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს სააგენტოს მიერ დელეგირებულ საოპერაციო და კომერციულ უფლებებსა და მოვალეობებს. კორპორაცია თანამშრომლობს ინვესტორებთან ოპერაციების დაგეგმვისა და შესრულების მიზნით; უზრუნველყოფს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ტრანსსასაზღვრო ნავთობსადენების შეუფერხებელ მუშაობას;

ხელს უწყობს კასპიისა და შავი ზღვის აუზების ენერგეტიკული პოტენციალის ახალი სატრანზიტო მარშრუტების შემუშავებას; აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო პროექტებში და ბიზნეს ურთიერთობებში პარტნიორობს რა ისეთ კომპანიებთან, როგორებიცაა: SOCAR, Shah-Deniz Consortium, BP, BOTAS და ა.შ. კორპორაციის ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები) განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედებს ოთხი დიდი ნავთობტერმინალი: ბათუმის, ფოთის, ყულევისა და სუფსის ნავთობტერმინალები. ყველა ეს ტერმინალი მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე და ემსახურება საექსპორტო ან სატრანზიტო მიზნებს. გარდა ამისა, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში ფუნქციონირებს უფრო მცირე ზომის ტერმინალები.

2. იურიდიული და მარეგულირებელი ჩარჩოები

სექტორის ძირითადი სამართლებრივი აქტია „საქართველოს ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“ (დამტკიცებული საქართველოს პარლამენტის 2015 წლის 24 ივნისის დადგენილებით). სექტორი რეგულირდება შემდეგი აქტებით: საქართველოს კანონი „ნავთობისა და გაზის შესახებ“, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტოს უფროსის ბრძანება №2 „ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების მარეგულირებელი ეროვნული წესების დამტკიცების შესახებ“, ასევე, საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“. ამ უკანასკნელის შესაბამისად, ლიცენზირებას ექვემდებარება:

- ნავთობისა და / ან გაზის გადამუშავება
- ნავთობისა და / ან გაზის ტრანსპორტირება
- ნავთობისა და გაზის შესწავლა
- ნავთობისა და გაზის წარმოება

სახელმწიფოს მიერ კონტროლდება ნავთობის ბაზრის ორ მიმართულება: ბაზრის კონკურენცია და ხარისხის კონტროლი. სამართლიანი კონკურენციის უზრუნველსაყოფად ბაზრის მონიტორინგს ახორციელებს კონკურენციის სააგენტო საქართველოს კანონის „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ შესაბამისად. ხარისხის სტანდარტები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის ორი დადგენილებით: საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების შესახებ (N124, 2004 წლის 31 დეკემბერი) და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების, ანალიზის მეთოდებისა და მათი დანერგვის ღონისძიებათა შესახებ (N238, 2005 წლის 28 დეკემბერი).

საქართველოში საწვავის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო მექანიზმი იყოფა სამ მიმართულებად:

1. სააგენტო პასუხისმგებელია იმ ნავთობპროდუქტების ხარისხის მონიტორინგზე, რომელსაც აწარმოებენ სააგენტოს ლიცენზიატები;
2. შემოსავლების სამსახური (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი) პასუხისმგებელია საქართველოში შემოტანილი ნავთობპროდუქტების ხარისხის კონტროლზე;

3. საქართველოს საცალო ვაჭრობის ქსელში ნავთობპროდუქტების ხარისხის მონიტორინგისთვის პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

სატრანსპორტო საწვავის იმპორტი არ ექვემდებარება ლიცენზირებას. შესაბამისად, საწვავის ბაზარზე შესვლის კუთხით არ არსებობს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო შეზღუდვები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ნავთობპროდუქტები აქციზური საქონლის კატეგორიაა.

3. შიდა წარმოება

საქართველოში წარმოებული ნედლი ნავთობის გადამუშავების შედეგად მიღებული ნავთობპროდუქტები შიდა მიწოდების მხოლოდ 2%-ს შეადგენს. დღეისათვის საქართველოში არის 16 საბადო, მათ შორის 15 ნავთობისა და 1 გაზის. 2020 წლის შეფასებით, 1P კატეგორიის ნავთობის დადასტურებული მარაგი საქართველოში აღმოჩენილ საბადოებში 3,2 მილიონი ტონაა; 2P კატეგორიის მარაგი - 7,8 მილიონი ტონა; პირობითი, ხელმისაწვდომი რესურსები 3P კატეგორიაში - 41,51 მილიონი ტონა. პერსპექტიული ნავთობის რესურსების მთლიანი მოცულობა, ხმელეთსა და შავი ზღვის პერსპექტიული საზღვაო უბნებში დაახლოებით 909.2 მილიონი ტონაა (საუკეთესო შეფასება).

ქვეყნის ნავთობისა და გაზის პერსპექტიული სახმელეთო ტერიტორიების უმეტეს ნაწილზე ლიცენზიატებთან გაფორმებულია პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებები (პწგხ). ნავთობისა და გაზის ოპერაციებს საქართველოში რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი კომპანია ახორციელებს: MND Group / Blake Oil and Gas Limited (სალიცენზიო ბლოკები: XIC, XID, XIE); Frontera Eastern Georgia (სალიცენზიო ბლოკი XII); WGPEC (სალიცენზიო ბლოკი V); GCE (სალიცენზიო ბლოკები VIA, VIB); ჯორჯია ოილ ენდ გაზი (სალიცენზიო ბლოკები VIII, XIG, XIM, XIN, XIC მარტყოფი, XIC, IXA, XIX, XII, XIV); Nautic AWT Energy PTE LTD (სალიცენზიო ბლოკი VIIB); საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (სალიცენზიო ბლოკი XIB, SSD); Block Energy (სალიცენზიო ბლოკი XIF, XIC ნორიო-საცხენისი, XIC საცხენისი, XIB, IX).

კორპორაცია ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსით ახორციელებს მოპოვებული ნავთობისა და გაზის სახელმწიფო წილის ზედამხედველობას დაგეგმვის, განხორციელებისა და ლიცენზირების ეტაპებზე.


საქართველოში მოპოვებული ნავთობის ნაწილის ექსპორტი ხორციელდება ბათუმისა და ფოთის ტერმინალების საშუალებით, ხოლო მნიშვნელოვანი ნაწილი გადამუშავდება ადგილობრივი მცირე სიმძლავრის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში. სააგენტოს მონაცემებით ამჟამად ქვეყანაში ორი ლიცენზირებული ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა ფუნქციონირებს: შპს „ველი“ და შპს „ზღ ნავთობის კომპანია“. აღნიშნული საწარმოების წარმადობა შეადგენს 80,000 ტონას და 130,000 ტონას წელიწადში.

4. იმპორტი და ექსპორტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) თანახმად, საქართველოს საბოლოო ენერჯის მოხმარება 2018 წლისთვის შეადგენდა დაახლოებით 4390.1 ათასი ტნე-ს. მათ შორის ნავთობპროდუქტების წილი 29%-ს აღწევს (1267.4 ათასი ტნე).

თითქმის ყველა ნავთობპროდუქტი იმპორტირებულია. ნედლი ნავთობის მცირე მოპოვების გამო (30.7 kTOE 2018 წლისთვის) წარმოება პრაქტიკულად არ ხდება.

ნავთობპროდუქტები 2013-2018, ათასი ტნე




ნავთობპროდუქტების საბითუმო და საცალო ბაზარზე წარმოდგენილია ხუთი მსხვილი კომპანია (სს ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია, შპს სან პეტროლეუმ ჯორჯია, შპს რომპეტროლი ჯორჯია, სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი, შპს ლუკოილ ჯორჯია). მათი წილი ბიზნესის მთლიანი ბრუნვის 70-75%-ს შეადგენს და მათ აქვთ ბენზინგასამართი სადგურები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მთელ ტერიტორიაზე.

ნავთობპროდუქტების უმეტესობის იმპორტი ხორციელდება აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან. ნავთობპროდუქტები ასევე შემოდის ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, საბერძნეთიდან, იტალიიდან, თურქმენეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. ბოლო პერიოდში საქართველოში ყოველწლიურად შემოდის დაახლოებით 1-1.1 მილიონი ტონა ბენზინი და დიზელის საწვავი.

ყველაზე მოხმარებადი ნავთობპროდუქტებია დიზელის საწვავი და საავტომობილო ბენზინი. ნავთობპროდუქტების თითქმის 88% გამოიყენება ტრანსპორტის სექტორში. ადგილობრივი სატრანსპორტო საშუალებების გარდა, საქართველოს ნავთობის ბაზარი ემსახურება სატრანზიტო ტრანსპორტს, ასევე, აეროპორტებსა და საზღვაო პორტებს.

საბოლოო მოხმარება 2013-2018, ათასი ტნე



საქართველოში წელიწადში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაზარი მთლიანად ლიბერალიზებულია და ფასები მეტ-ნაკლებად ასახავს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს.

5. ტრანზიტი

საქართველო არის ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა. ნავთობის ტრანსპორტირება ხორციელდება ორი ნავთობსადენით - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით (BTC) და დასავლეთ მარშრუტის საექსპორტო მილსადენით (WREP)

დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის სიგრძე 830 კმ-ია, ხოლო დიამეტრი - 530 მმ. მისი საშუალებით აზერი-ჩირაგ-გიუნეშელის საბადოდან მოპოვებული ნავთობის დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სუფსის ტერმინალში ტრანსპორტირება ხორციელდება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენს აზერბაიჯანში აზერი-ჩირაგ-გიუნეშელის საბადოზე მოპოვებული ნავთობი თურქეთში, ჯეიჰანის პორტში გადააქვს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი მსოფლიოში სიგრძით მეორე მილსადენია. მისი სიგრძეა 1768 კმ; აქედან 229 კმ საქართველოს ტერიტორიაზე გადის. მილსადენს აქვს 8 სატუმბო სადგური, მათ შორის ორი საქართველოში.

გარდა ამისა, რკინიგზა და საზღვაო პორტები (ბათუმის, ფოთის და ყულევის ნავთობტერმინალების მეშვეობით) ახორციელებენ ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანზიტს აზერბაიჯანიდან და შედარებით მცირე ოდენობით, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან.

6. სექტორის განვითარება მიწოდების უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად

იმპორტირებული ნავთობპროდუქტების წილი საქართველოს მთლიან პირველადი ენერჯის მოხმარებაში შეადგენს 26%-ს. ეს იწვევს ქვეყნის კრიტიკულ დამოკიდებულებას ძვირადღირებულ იმპორტირებულ ნახშირწყალბადებზე და წარმოადგენს მიწოდების უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას.

ამავე დროს, ქვეყნის ნახშირწყალბადების საკუთარი რესურსების ეფექტურმა ათვისებამ შეიძლება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და ზოგადად ეკონომიკის ზრდაში.

ძირითადი საწვავის რესურსების კრიტიკული მოცულობის იმპორტთან დაკავშირებული ფუნდამენტური პრობლემის გარდა, არსებობს სხვადასხვა მიმართულება, რომელსაც განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება:

ახალი საბადოების საძიებო სამუშაოების გაფართოება

არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენებას და ახალი საბადოების აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ენერგეტიკულ ბალანსში ადგილობრივი რესურსების წილის გაზრდისა და მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. ამრიგად, საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების ფართო გამოყენებას არსებულ საბადოებზე, ისევე, როგორც ახალი საბადოების აღმოჩენას საძიებო და ღრმა ბურღვითი სამუშაოების საშუალებით. არსებულ საბადოებზე დადასტურებული მარაგების მხოლოდ 5%-ის შემთხვევაშიც კი, 2018 წლის მონაცემებთან შედარებით ნავთობის მოპოვება შეიძლება 2.5-3-ჯერ გაიზარდოს.

ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში შესრულებული ძებნა-ძიებითი სამუშაოების (2D და 3D განზომილებიანი სეისმოძიება, ერთეული ძებნითი ჭაბურღილები) შედეგები დამაჯერებლად მიანიშნებენ ქვეყანაში ნახშირწყალბადების ახალი, კომერციული მნიშვნელობის მქონე საბადოების გახსნის საკმაოდ მაღალ ალბათობაზე.

განსაკუთრებით პერსპექტიულადაა მიჩნეული საქართველოს შავი ზღვის შელფური ნაწილი. საქართველოს ჩრდილოეთით, სეისმოძიებით შესწავლილია რამდენიმე მსხვილი სტრუქტურა (გუდაუთა, ოჩამჩირე, ყულევი); სამხრეთით შელფური ზონა ჯერ კიდევ 2000-იანი წლების პირველ ნახევარში შეისწავლა ამერიკულმა კომპანია „ანადარკომ“. თუმცა, ძებნითი ბურღვა საქართველოს შელფზე დღემდე არ განხორციელებულა. საჭიროა მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული სამუშაოების ინტენსიური განხორციელება ნავთობისა და გაზის ადგილობრივი მოპოვების ზრდის მიზნით, მათ შორის:

– იგეგმება ნავთობისა და გაზის თანამედროვე ძებნა-ძიებისა (3D სეისმოძიება და მონაცემთა ინტერპრეტაცია, რეზონანსური ჰიდროდინამიკური მოდელირება) და მოპოვების (დახრილმიმართული ბურღვა, ღრმა ჰიდროგახლეჩვები) ტექნოლოგიების გამოყენება, როგორც პერსპექტიულ და ახლადადმოჩენილ, ისე დამუშავების სტადიაზე მყოფი საბადოების ფარგლებში, რომელთა უმეტესობა უკვე საგრძნობლადაა გამოფიტული;

– იგეგმება და განხორციელდება მასშტაბური სეისმო ძებნა-ძიებითი სამუშაოები და შეფასებითი ბურღვის წარმოება კომერციული მნიშვნელობის შესაფასებლად პერსპექტიულ ფართობებზე, მათ შორის ღრმად დამირული პერსპექტიული ფენების ათვისების მიზნით.

– შესაძლო მოკლე ვადებში განხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის და რეპუტაციის მქონე კონტრაქტორი კომპანი(ებ)ის შემოყვანა და ლიცენზიების გაცემა საქართველოს შავი ზღვის შელფზე მდებარე საძიებო ბლოკებზე, ბურღვითი სამუშაოების დაწყების მიზნით პერსპექტიულ ოფშორულ სტრუქტურებზე.

პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავება

ადგილობრივი ინტელექტუალური რესურსისა და გამოცდილების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მთავრობა ხელს უწყობს ადგილობრივი პროფესიული კადრების ჩართულობას სექტორში არსებული ძირითადი საკითხების გადაჭრის პროცესში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებას.

მთავრობა მოწოდებულია, დაეხმაროს სტუდენტებისა და სხვა ადგილობრივი სპეციალისტების მომზადებას საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით წამყვან ქვეყნებსა და კომპანიებში სტაჟირებების ორგანიზებითა და ხელშეწყობით.

მთავრობა გააძლიერებს ქართული მხარის როლს კონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოების სამეცნიერო-ანალიტიკურ უზრუნველყოფაში.

ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გეოლოგიური სტრუქტურისა და ნავთობის საბადოების ერთიანი ეროვნული მონაცემთა ბაზის შექმნა. მონაცემთა ბაზაში გაერთიანდება სააგენტოში, კორპორაციათა და ზოგადად ქვეყანაში დაცული ყველა ძირითადი მონაცემი. ამავდროულად, შემუშავდება პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობს კონტრაქტორების მონაცემთა ბაზის მთავარ კომპონენტებთან წვდომას და საჭიროების შემთხვევაში, სამეცნიერო-ანალიტიკური კვლევის ჩატარებას კვლევა-ძიებისა და სხვა დარგობრივად აქტუალურ საკითხებზე.

კანონმდებლობის დახვეწა

სახელმწიფოს მხრიდან სათანადო გავლენის უზრუნველსაყოფად გადაიხედება არსებულ რთული და დაუბალანსებელი პროცედურები. შედეგად, სახელმწიფოს (სააგენტოს) ექნება შესაძლებლობა, აქტიურად ჩაერთოს და საჭიროების შემთხვევაში, დაბლოკოს კონტრაქტორის ისეთი გადაწყვეტილების პრაქტიკული განხორციელება, რომლისთვისაც არ არსებობს სათანადო დასაბუთება. ამ მიზნით:

- შესაბამისი ცვლილებები შევა ეროვნულ წესებში, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნებს დარგობრივი განვითარების გეგმებისა და მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

- ყველა კონტრაქტორი ვალდებული იქნება, შეასრულოს ნავთობისა და გაზის რესურსებისა და მარაგების ყოველწლიური აღრიცხვა და ანგარიშგება; მოწესრიგდება სახელმწიფო ბალანსზე არსებული რესურსებისა და მასალების აღრიცხვისა და მუდმივი განახლების საკითხი.

- ცვლილებები შევა სალიცენზიო ტენდერების ჩატარების სამართლებრივი ნორმებით განსაზღვრულ პროცედურებში, რაც უზრუნველყოფს გამარჯვებული კომპანიის გამოცდილებისა და კომპეტენციის სწორად განსაზღვრას.

ნავთობის გადამუშავების ახალი შესაძლებლობების განვითარება

გაგრძელდება პოტენციური ინვესტიორების მოზიდვის პოლიტიკა ახალი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის დასადგენად, როგორც მინიმუმ მაღალი ხარისხის და ეკოლოგიურად უსაფრთხო საწვავით ქვეყნის მოთხოვნილებების ნაწილობრივი დაკმაყოფილებისა და შესაძლებლობის შემთხვევაში, რეგიონალურ ბაზარზე ექსპორტის მიზნით.

წინასწარი შეფასებით, ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, არსებული ინფრასტრუქტურა (ნავთობისა და გაზის მილსადენები, რკინიგზა და საზღვაო პორტები) და ადგილობრივი მოპოვების პერსპექტივები კარგ წინაპირობებს ქმნის საქართველოში რეგიონალური ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლება

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის 40%-ზე მეტი კვლავ აუთვისებელია. საქართველოს არსებული და სამომავლო სატრანზიტო ნაკადები დაკავშირებული იქნება აზერბაიჯანში, ყაზახეთსა და შედარებით ნაკლებად, თურქმენეთში წარმოებულ და გადამამუშავებულ ნავთობთან.

ევრაზიის ნავთობის დერეფნის პროექტის (EAOTC) მონაწილე ქვეყნების პრეზიდენტებმა (აზერბაიჯანი, საქართველო, ლიეტუვა, პოლონეთი და უკრაინა) ხელი მოაწერეს კომუნიკეს რომელიც გულისხმობს ოდესა-ბროდის მილსადენით კასპიის ნავთობის ტრანზიტს და მის გაფართოებას პლოკამდე, საიდანაც ნავთობი არსებული მილსადენით ჩავა გდანსკში.

აღნიშნულის საფუძველზე დაარსდა საერთაშორისო მილსადენის კომპანია შპს „სარმატია“. კომპანიის აქციონერები არიან SOCAR-ი (აზერბაიჯანი), AB Klaipėdos Nafta (ლიეტუვა), PERN Przyjaźń S.A. (პოლონეთი), Ukrtransnafta (უკრაინა) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ (საქართველო). მოცემულ ეტაპზე კორპორაციის წილი შპს „სარმატიაში“ 16.9% -ს შეადგენს.

შპს „სარმატიას“ მთავარი მიზანი არის ევრაზიის ნავთობის დერეფნის პროექტის განხორციელება (EAOTC).

სავალდებულო მარაგები

საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა, ვალდებულია, შეასრულოს ევროკავშირის 2009/119/EC დირექტივის მოთხოვნები. აღნიშნული დირექტივა

წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ნედლი ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგების შენარჩუნების ვალდებულებას. საქართველოსათვის დირექტივის მოთხოვნების შესრულების ბოლო ვადაა 2023 წლის 1 იანვარი.

სახელმწიფო ვალდებულია, შეიქმნას და შეინახოს სავალდებულო საგანგებო მარაგი, რათა უზრუნველყოს ბაზარზე ნავთობპროდუქტების უწყვეტი მიწოდება. სავალდებულო საგანგებო მარაგი წარმოადგენს ენერგეტიკული პროდუქტების მარაგს, რომლებიც სახელმწიფოს განკარგულებაშია ან ექვემდებარება სახელმწიფოს კონტროლს. მარაგები იქმნება საქართველოში ნავთობისა და/ან ნავთობპროდუქტების მიწოდების უსაფრთხოების მაღალი დონისა და ეროვნული უსაფრთხოების შენარჩუნების, საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მოსახლეობისათვის საარსებო წყაროს უზრუნველყოფის მიზნით.

საგანგებო მარაგები შედგება შემდეგი ენერგოპროდუქტებისაგან:

- საავტომობილო ბენზინი
- რეაქტიული საწვავი
- ნავთი
- დიზელის საწვავი
- მსუბუქი სათბობი საწვავი
- მძიმე მაზუთი

საქართველოს შემთხვევაში, სადაც ქვეყნის ენერგეტიკული ბალანსით გათვალისწინებული თითქმის ყველა ნავთობპროდუქტი იმპორტირებულია, შენახული ნედლი ნავთობის ან ნავთობპროდუქტების საგანგებო მარაგების სრული ოდენობა ყოველთვის უნდა შეესაბამებოდეს 90 დღიან საშუალო ყოველდღიურ წმინდა იმპორტის ოდენობას.

მარაგებზე პასუხისმგებელ ორგანოდ (მარაგების შემნახველი ცენტრალური ორგანო) განსაზღვრულია სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო“. საგანგებო მარაგების შენახვის ვალდებულება დაეკისრება ყველა იმ ეკონომიკურ ოპერატორს, რომელიც კომერციული მიზნებით ახორციელებს ნედლი ნავთობის, აქციზური ნავთობპროდუქტების, ნავთობის დისტრილაციებისა და ნავთობისა და ბიტუმოვანი ქანებიდან წარმოებული სხვა პროდუქტების იმპორტირებას ან აწარმოებს მას საქართველოში.

ამრიგად, 2023 წლის 1 იანვრიდან, როდესაც ამოქმედდება კანონმდებლობა, სავალდებულო მარაგების ყველა შემნახველს დაეკისრება ვალდებულება, შეინახოს საანგარიშო წლის განმავლობაში ნედლი ნავთობის ან ნავთობპროდუქტების იმპორტის 25% ის ოდენობის მარაგი.